



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№594

2016 წლის 13 ივნისი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, ზღვრულ ასაკს მიღწეული, მამრობითი სქესის მოქალაქეების რეზერვში ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის N247 დადგენილების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. ჩარიცხულ იქნან თადარიგში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მამრობითი სქესის მოქალაქეები, რომლებსაც 2016 წლის 30 მაისის ჩათვლით შეუსრულდებათ 27 წელი.

*საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის“ უფროსის 2016 წლის 8 ივნისის № 1359 მომართვა./*

მუხლი 2. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის“ უფროსს გელა ლომიძეს.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.



გამგებელი:

კარლო ჯამბურია